KA020136351431722

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 08/1034 **23 / თებერვალი / 2022 წ.**

მოქალაქე მერი მაჭარაშვილს
ელ-ფოსტა: mmatscharaschwili@gmail.com

ქალბატონო მერი,

თქვენ მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში წარმოდგენილი 2022 წლის 18 იანვრის N439/11 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში თანამშრომელთა დისკრიმინაციის და შევიწროების წინააღდეგ მიმართულ პოლიტიკას, ეთიკისა და სამსახურებრივი ქცევის ზოგად წესებს, ნორმებს და მათი აღსრულების ინსტრუმენებს, კონტროლის მექანიზმებს, კეთილსინდისიერების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, წესების დარღვევისთვის დაწესებულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული "თანამშრომლის სახელმძღვანელო" და შინაგანაწესი. დოკუმენტები განთავსებულია სამინისტროს ინტრანეტში (http://portal/) და ხელმისაწვდომია სამინისტროს ნებისმიერი თანამშრომლისთვის.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველო სამინისტროს სისტემაში სამსახურებრივი გადაცდომის ან/და მიზნებთან შეუსაბამო ქმედების შემოწმებისა და გამოვლენის მიზნით ატარებს ინსპექტირებას ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის N1-1/201 ბრძანებით დამტკიცებული დებულების და საქმიანობის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. გამოქვეყნებულია ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში".

სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, დეპარტამენტს აქვს ელ. ფოსტა, ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოგვმართოს განცხადებით, რომელიც რეგისტრირდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში. ასევე სამინისტროს თანამშრომლის სახელმძღვანელო არეგულირებს სექსუალური შევიწროების, შევიწროებისა და დისკრიმინაციის შეთხვევაში საჩივრის წარდგენის, საჩივრის განხილვისა და წარმოების დაწყების მექანიზმებს.

2021 წელს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემოსულია მხილების ერთი განცხადება, რომელზეც მიმდინარეობს წარმოება.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფისა და ინფორმაციის
პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი
პირი

გურამ სუხაშვილი